ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეფე დიმიტრი

# კრებული

# მეფე დიმიტრი

# კრებული

## ღმრთისმშობლისა

ღმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი დედა, ქალწული, შუენიერი შროშანი, მას ახარებდა ანგელოსი ფრთოსანი: შენგან იშუებს მეფე გჳრგჳნოსანი, და მას ჰმონებდენ მეფე მრავალ-ყმოსანი.

მისივე შენ ხარ ვენაჴი, ახლად აღყუავებული, მორჩი კეთილი , ედემში დანერგული, ალვა სულნნელი, სამოთხით გამოსრული, ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული, და თავით თჳსით მზე ხარ განბრწყინვებული.

## შიო მღჳმელისა

შენის დაფნისა იშიოებს ასურსა, ისავსებს ქართლი ნილო[ჲ]სა ნაკადულთებრ! ორბობს მოხუცი, მღჳმე ფართობს სამყაროდ, იბერწისწულებს მრავლად უდაბნოს ესე, სულსა აღუთისებს, მტუერისა მტუერად დამტევი.

მისივე

ცასა ბეწჳთა ეკიდა, ვნახე კაცი, და მასვე კაცს[ა] შუბის წუ[ე]რს ედგნეს დარბაზნი. მუმლსა ზედა ჯდა, მინდორს სდევდა ქურციკთა, - და ზღუასა ზედა მოარბევდა ცხენითა, და ესრეთ ღაღადებდა: ”ღმერთო, შენ, კურთხეულ ხარ!”